



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაცია, საბაკალავრო
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

14.06.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი,
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფარმაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0916
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული გადაწყვეტილება №7913996 07.09.2020

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ჯავახია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებულია 7 წლის ვადით (აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი 2027 წლის 23 აგვისტო), აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება 791399, 07/09/2020, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით (ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 21 აგვისტო).

2021 წლის 22 ოქტომბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მოისმინა დაწესებულების ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, რაც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების მისაღწევად გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
2. საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის სრულყოფა და შესაძლო რისკების განსაზღვრა;

რჩევები:

1. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსი „ჰომეოპათიის საფუძვლები“ და შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე მოთხოვნებთან ან ამოღებულ იქნას არჩევითი ბლოკიდან.

აკრედიტაციის დებულების 27 მუხლის 2 პუნქტის, 31 მუხლის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, მონიტორინგის დანიშვნა ანგარიშის განხილვიდან სამი თვის ვადაში (სხდომის ოქმი 1193142, 5.11.2021).

პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი; 1 კრედიტი = 25 სთ (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს), საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს 216 კრედიტის, არჩევით სასწავლო კურსებს-15 კრედიტის, თავისუფალ კურსებს - 6 კრედიტის მოცულობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ბრძანების N434845, 29.04. 2022 საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე, მაკა ჯავახია განახორციელა ვიზიტი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა დაწესებულების ადმინისტრაციის ხედვა ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ, შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელს, დამსაქმებლებს, გადაამოწმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტი და გაფორმებული მემორანდუმები. შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი, სასწავლო კურსების სილაბუსები), პროგრამის განმახორციელებელი პირების CV-ები), დანართები.

ექსპერტთა მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი, ხოლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის (აღნიშნული დოკუმენტის თანახმად დაწესებულება გამოთქვამს მზაობას რეკომენდაციების გაზიარების თაობაზე) გაცნობის შედეგად - წინამდებარე დასკვნა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

2.3. რეკომენდირებულია დაკორექტირდეს ფარმაკოგნოზია 1-ის სილაბუსის სწავლის შედეგი, კერძოდ უნდა გაიმიჯნოს ფარმაკოგნოზია 1-ის და ფარმაკოგნოზია 2-ის სასწავლო კურსის მიზანი

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.2. სასურველია პროგრამაში სასწავლო კურსის „ბიოლოგია“ დამატება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოიცავს დარგისთვის რელევანტურ სასწავლო კურსებს, საბაკალავრო პროგრამის დასახელება - „ფარმაცია“ სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, პროგრამის მიზნები თავსებადია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მისიასთან, მკაფიოდაა ფორმულირებული და რეალისტურია, მიღწევადია პროგრამის წარმოდგენილი დიზაინით. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების და ღირებულებების შესაბამისი, უწყვეტი პროფესიული ზრდის უნარის მქონე ფარმაციის ბაკალავრები, რომელთაც ექნებათ: საბაზისო, ქიმიის, ბიოლოგიის, სამედიცინო დისციპლინების და ფარმაცევტული მეცნიერებების ფართო ცოდნა; ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზების, ფუნქციების მართვის, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძვლების ცოდნა; რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში შეძლებენ: ფარმაცოგნოსტური, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარებას; ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო საშუალების ანალიზს, ხარისხის კონტროლს და სტანდარტიზაციას; ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებას და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციას; ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებას - მოსახლეობის უზრუნველყოფას უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით; ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვაში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა; ○ ვებგვერდი www.sou.edu.ge
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის თანახმად ფარმაციის ბაკალავრის პროგრამის შედეგები დეკლარირებულია კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სამი ელემენტის „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ მიხედვით. პროგრამის სტრუქტურა თავიდანვე უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ თეორიული ცოდნის შეძენასა და აღნიშნულის პრაქტიკაში რეალიზებას. პროგრამის შედეგებში ასახულია როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება - ფართო ცოდნა საბაზისო, ქიმიის, ბიოლოგიის და სამედიცინო დისციპლინებში; - ფართო ცოდნა ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო პროფილურ დისციპლინებში. უნარი - ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება და სერიული წარმოება - წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; - ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო საშუალებების ანალიზი, ხარისხის კონტროლი, სტანდარტიზაცია და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარება - წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; - ფარმაცევტული ზრუნვის, ფარმაცევტული დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ორგანიზების, ფარმაცევტული პროდუქტის მოძრაობისა და ფუნქციების მართვის, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ათვისების პროცესში ჩართვა - წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. - ნედლეულის, ფარმაცევტული პროდუქტის ეფექტიანობის, ხარისხის, უსაფრთხოების, რაციონალური ფარმაცოთერაპიისა და სოციალურად ორიენტირებული ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ მონაცემების შეგროვება, კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; - წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ანგარიშის, პროექტის - საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და წარდგენა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარებისა და ახალი ცოდნის შეძენის მიზნით; - ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქტის დამზადების, ანალიზის, ხარისხის კონტროლის, სტანდარტიზაციის, სოციალურად ორიენტირებული ფარმაცევტული საქმიანობისა და ფარმაცევტული ზრუნვის თანამედროვე სტანდარტების ფორმირების პროცესში და მათ დამკვიდრებაში ჩართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს რეგულაციები ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმართ. ამ მოთხოვნებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე დაშვებას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: სრული ზოგადი
--

განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი; მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო საგნებად კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), ბიოლოგია. დამატებით მეოთხე საგნად განსაზღვრულია ქიმია, მათემატიკა ან ფიზიკა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია, აგრეთვე მობილობით, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, ცნობარში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.sou.edu.ge.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • ვებ-გვერდი www.naec.ge • სსუ-ს ვებ-გვერდზე: www.sou.edu.ge
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან, ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა 2020 წელს.

ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ 2020 წელს მიმდინარე პროგრამის განახლებისა და მოდერნიზების სამუშაოების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარე - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო; პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. წარმოდგენილი პროგრამის მოცულობა არის 240 კრედიტი, რაც სრულად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები დალაგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური.

პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 216 კრედიტს, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტს, თავისუფალი არჩევითი - 6 კრედიტს, რომელთა მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების განვითარებას, როგორცაა: ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო საშუალებების დამზადების, სერიული წარმოების, ფარმაცევტული ანალიზის განხორციელების, კეთილხარისხოვნების დადგენის, რაციონალური ფარმაცოთერაპიის, ფარმაცევტული ზრუნვისა და ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვის პროცესში ჩართვის განხორციელების მიმართულებით, თუმცა შევნიშნავთ, რომ პროგრამის შესწავლის შედეგად მიზნად დასახული ბიოლოგიის ფართო ცოდნის მიღწევის უზრუნველსაყოფად, სასურველია სტრუქტურაში პარაზიტოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კურსებთან ერთად სასწავლო კურსის „ბიოლოგიის“ გათვალისწინება.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას, კოორდინაციას უწევს პროგრამის და კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. პროგრამის დაგეგმვა/შექმნა/ცვლილების განხორციელებაში პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა უზრუნველყოფილია, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროგრამის იმპლემენტაციის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • სილაბუსები • სსუ-ს ვებ-გვერდი: www.sou.edu.ge • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამაში სასწავლო კურსის „ბიოლოგია“ დამატება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის რუკა, რომელშიც ნათლად ჩანს პროგრამის სწავლის შედეგებისა და ძირითადი დარგის სასწავლო კურსებს შორის კავშირი. ძირითადი დარგის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრულია მათი როლი

სწავლის შედეგებთან მიმართებით სამდონიანი შკალის მიხედვით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება). თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები), რომელიც შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების შესაბამის მეთოდებს (ლექცია, პრაქტიკუმი, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო და სხვა), რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და აღწერილია სილაბუსში. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად შევნიშნავთ, რომ სასწავლო კურსის „ფარმაკოგნოზია 1“ სილაბუსში დასაკორექტირებელია სასწავლო კურსის მიზანი. რეკომენდირებულია გაიმიჯნოს ფარმაკოგნოზია 1- ის და ფარმაკოგნოზია 2- ის სასწავლო კურსის მიზანი. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია სსუ-ის ბიბლიოთეკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • სილაბუსები • სსუ-ის ბიბლიოთეკა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია დაკორექტირდეს ფარმაკოგნოზია 1-ის სილაბუსის სწავლის შედეგი, კერძოდ უნდა გაიმიჯნოს ფარმაკოგნოზია 1-ის და ფარმაკოგნოზია 2-ის სასწავლო კურსის მიზანი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო - კვლევით პროექტებში ჩართვას. თითოეული პროფილური დისციპლინის სწავლება თეორიულ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოს შესრულებას. პროგრამის განხორციელების პროცესში შეთავაზებულია პროფესიული პრაქტიკები, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებს განივითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები. პრაქტიკა ხორციელდება სსუ-ის ლაბორატორიებში, ფარმაცევტული კომპანიების: „ავერსი-ფარმა“, „პსპ-აფთიაქი“, „გეფა“, „ნეოფარმი“, შპს „აფთიაქი #34“, შპს „აფთიაქი კრწანისი“ ბაზებზე, მათთან გაფორმებული მემორანდუმების და ხელშეკრულებების საფუძველზე. პროფესიული პრაქტიკის გავლის პერიოდში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს აკადემიური პერსონალი ან მოწვეული მასწავლებელი, რომელიც არის დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებლებთან ინტერვიუებამ დაადასტურა, რომ პრაქტიკას ადგილზე უძღვება შესაბამისი სპეციალისტი. სსუ-ში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები. პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს ანაზღაურებადი სტაჟირების განხორციელებას ფარმაცევტულ კომპანიებში, ორგანიზებას უკეთებს მათი წარმომადგენლების შეხვედრას ფაკულტეტის სტუდენტებთან. სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გამოყენება უცხოელი პროფესორის ჩართულობით, მათი კვლევით გამოცდილებასა და მიღწევებზე საკვლევი თემატიკის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამა და სილაბუსები • მემორანდუმები • ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. არის მრავალფეროვანი და მოიცავს ასევე თანამედროვე მეთოდებს. პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის, ცალკეული კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლა-სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა და სხვ. სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
